დევიდ ლინჩი: "სამყარო, რომელსაც ვირჩევ"

მისი თითოეული ფილმი უნიკალური და დამოუკიდებელი სამყაროა, სადაც ყველაზე უცნაური არსებები ცოცხლდებიან, მისტიკურ-დეტექტიური ისტორიები თავბრუს ახვევენ და აბნევენ მაყურებელს...

ძნელია, გენიოსის ტვინში შექმნილ და შემდეგ ფილმში გადატანილ გროტესკულ სამყაროში არ დაიკარგო და ერთხელ მოგზაურობის შემდეგ კვლავ დაბრუნების სურვილი არ გაგიჩნდეს. "ლინჩიანურ განზომილებაში" ყოფნისას ემოციას ემოცია ცვლის, რეჟისორის ფიქრთა სვლას მიჰყვებით და იძირებით სამყაროში რომელსაც ხან Mulholand Drive ხანაც Blue Velvet ან Twin Peaks ჰქვია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კინოს ისტორიაში ყველაზე ცნობილი სიურრეალისტის, დევიდ ლინჩის სამყაროში!

ყველაზე გიჟურ იდეებს კინოენით აცოცხლებს და მისი ფილმების ყურებისას თითქოს ლინჩის ცნობიერების ნაკადში აღმოჩნდებით - "დღის სიზმრები ყველაზე მნიშვნელოვანია, ზოგჯერ უბრალოდ ვჯდები სკამზე, თვალებს ვხუჭავ და ჩემს გონებას სახეტიალოდ ვუშვებ. ძილში სიზმრებს ვერ აკონტროლებ. მიყვარს ჩემ მიერ შექმნილი ან აღმოჩენილ სიზმრების სამყაროში ჩაძირვა, ესაა სამყარო, რომელსაც ვირჩევ და იქაა კინოს სიძლიერე, ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ დროს იბადება იდეები", - ამბობს 71 წლის ლინჩი. ასე გაჩნდა წითელი ოთახი 90-იანი წლების საკულტო სერიალ Twin Peaks-ში და გოლიათის პერსონაჟი აგენტი კუპერის ოთახში. ლინჩის "სიზმრისეული ლოგიკა" კინოში თხრობის ახალ, არასწორხაზოვან სტრუქტურას ქმნის.

თხრობის მსგავს ფორმას მის საკულტო ფილმებში Eraserhead, Mulholand Drive და Inland Empire შეხვდებით. მაგიური რეალიზმის ენით ლინჩი ძალადობის, სიყვარულის, შურისძიებისა და დანაშაულებრივი საქმეების ისტორიებს გვიყვება - "იდეა წამიერად მოდის და თუ გაჩერდები და დაფიქრდები, აღმოაჩენ, რომ მას ხმა, გამოსახულება და ხასიათი აქვს. პერსონაჟის გარდერობსაც კი გიკარნახებს, იმასაც მიგახვედრებს, როგორია ეს გმირი, როგორ საუბრობს ან რა სიტყვებს იყენებს. წამიერად უამრავი რამ იბადება გონებაში", - ამბობს რეჟისორი.

რთულია, სახელი დაარქვა განწყობას და იმ ატმოსფეროს, რომელიც ლინჩის ფილმებშია. სპეციფიკური იუმორის, გროტესკული პერსონაჟებისა და მათი არაპროგნოზირებადი ქცევების წყალობით ფილმში მოთხრობილი სიუჟეტი ხშირად ლოგიკის ჯაჭვს არ ექვემდებარება, მაგრამ ეს ხელს არავის უშლის, ბოლომდე ისიამოვნოს ფილმის ხასიათით და მაგიური რეალიზმის ენით შექმნილი ისტორიით.

დევიდ ლინჩი ბავშვობიდან ხატავდა. იხსენებს, როგორ მოჰქონდა მამას სამსახურიდან დოკუმენტების ფურცლები, რომელსაც მეორე მხარე სუფთა ჰქონდა და მასზე თვითმფრინავებსა და ტყვიამფრქვევებს ხატავდა. ხატვის შესასწავლად ფილადელფიაში გატარებულ წლებს ყველაზე დიდ შთაგონებას უწოდებს. საკუთარი ნახატების ამოძრავების სურვილმა პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღების იდეამდე მიიყვანა. ასე შეიქმნა Alphabet - ლინჩის ფილმოგრაფიის ერთ-ერთი ადრეული ნამუშევარი, სადაც მთავარი როლი მისმა მაშინდელმა მეუღლე პეგიმ შეასრულა. ფილმის გადასაღებად საკუთარი სახლის კედლები შავად შეღება, იგივე გაიმეორა მეორე ფილმზე -The Grandmother - მუშაობისას.

დღის ჰოროსკოპი

ჟურნალი "ბომონდი" (http://www.beaumonde.ge/index.php?option=com_content&view=category&

დაგვიკავშირდით

MOVIE.GE



დიდი პატარა ტყუილები (https://movie.ge/serial/49)

მტრის [illegible] (https://movie.ge/movie/AQlxBGBF)



40 წლიდან (https://movie.ge/movie/QDkjQT)

ფილადელფიიდან ლოს-ანჯელესში, ბევერლი ჰილზზე გადასახლდა და კინოსკოლაში განაგრძო სწავლა. ერთი წლის შემდეგ კი დაიწყო პირველ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმ Eraserhead-ზე მუშაობა. Eraserhead საკულტო ფილმია, რომლის სიუჟეტი დისტროფიურ სამყაროში ვითარდება. წყნარი ახალგაზრდა მამაკაცი უცნაური ბავშვის მშობელი ხდება. დევიდ ლინჩის პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევარი სიურრეალიზმის კლასიკადაა აღიარებული და მას ლინჩის უსაყვარლესი რეჟისორი, სტენლი კუბრიკი ყველა დროის ფავორიტ ფილმს უწოდებდა.

დევიდ ლინჩს მასშტაბური სახალხო აღიარება The Elephant Man-მა მოუტანა. ფილმში სხეულის დეფორმაციული სინდრომით დაავადებული ჯოსეფ მერიკის ამბავია გადმოცემული. მას მოჰყვა სამეცნიერო ფანტასტიკა Dune da Blue Velvet. 1990 წელს კი დევიდ ლინჩმა მარკ ფროსტთან ერთად მთელი მსოფლიო ტელევიზორის ეკრანებს მიაჯაჭვა. ათწლეულების წინ ტელეკომპანია ABC-ის აღმასრულებელი პროდიუსერები დევიდ ლინჩისა და მარკ ფროსტის სცენარმა მოხიბლა და ასე შეიქმნა სრულიად ახალი სამყარო Twin Peaks, რომელიც ერთდროულად იყო კლასიკური საპნის ოპერაც, მკვლელობის იდუმალი ამბავიც, პატარა ქალაქის საგაც და სიყვარულის ისტორიაც.



"ვინ მოკლა ლორა პალმერი", - კითხვა ისმოდა ყველგან და აინტერესებდა ყველას. აგენტ

კუპერის ამბავი პატარა ქალაქში, გასცდა ამერიკის საზღვრებს და აალაპარაკა მსოფლიო. წითელი ოთახის მისტიკა, კრიმინალური დაჯგუფებები და საიდუმლო კავშირები ორ სეზონად გაერთიანდა და საკულტო სერიალად იქცა. Twin Peaks -ს ბევრი ტელევიზიის ოქროს ხანის დასაწყისად მიიჩნევს. წლების შემდეგაც მაყურებელს ხიბლავს და ატყვევებს სიუჟეტური ხაზი, პერსონაჟების სიღრმე, მონტაჟი და განწყობა, რომელიც ლინჩმა სერიალში მარკ ფროსტთან ერთად შექმნა. მეორე სეზონის ბოლოს ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს, "შევხვდებით 25 წლის შემდეგ" და, მიუხედავად იმისა, რომ სერიალის გაგრძელება არ იყო დაგეგმილი, დაახლოებით 25 წლის შემდეგ Twin Peaks სატელევიზიო სამყაროს დაუბრუნდა. დევიდ ლინჩი სერიალის მესამე სეზონს 18-საათიან ფილმს უწოდებს, რომელიც ნაწილ-ნაწილ უნდა ნახოთ და რომელიც უკვე აღიარეს 2017 წლის სატელევიზო სეზონის მოვლენად.

Twin Peaks -ის ყურებისას გამუდმებით ფიქრობ მის გავლენასა და იმაზე, რომ დევიდ ლინჩმა წლების წინ გადაიღო სერიალი, რომელიც თანამედროვე ტელეინდუსტრიის პირველწყაროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. სერიიდან სერიამდე გაოცებთ და გითრევთ ლინჩის სამყარო და როდესაც ამ სამყაროს შემქმნელს თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე ხედავთ, თავი მართლა სიურრეალისტურ ფილმში გგონიათ.

Twin Peaks -ის პერსონაჟ გორდონის მსგავსად დევიდ ლინჩსაც უყვარს ყავა, ოღონდ არა "უმთვარო ღამესავით მუქი და ძლიერი", არამედ ლატე. ჟესტები კი მას და გორდონს საერთო აქვთ. საყვარელ თემებზე საუბრის დროს ცისფერი თვალები უბრწყინავს და წარმოუდგენელია, ეს აღფრთოვანება არ გადაგედოს, თითების მოძრაობას თვალს ვერ მოსწყვეტ და გიჩნდება სურვილი, დევიდ ლინჩს დაუსრულებლად ელაპარაკო კინოზე, მუსიკაზე, მხატვრობასა და ტრანსცენდენტალური მედიტაციის უპირატესობებზე.

ტრანსცენდენტალური მედიტაცია მედიტაციის უძველესი ფორმაა, რომელიც ლინჩმა 70-იან წლებში აღმოაჩინა. "ვფიქრობდი, რომ მედიტაცია იქნებოდა გზა ჭეშმარიტი ბედნიერებისკენ. უამრავი ტიპის მედიტაცია ვცადე, მაგრამ არც ერთი არ იყო საჩემო. ერთხელ დამ დამირეკა და ტრანსცენდენტალურ მედიტაციაზე მიამბო, მას ხმა ჰქონდა შეცვლილი და უფრო ბედნიერი ჩანდა, ამიტომ მეც ამ ტექნიკის შესწავლა გადავწყვიტე. ამ დროს შემოქმედებითი ვიყავი, მაგრამ თვითდაჯერება მაკლდა, მუდმივ სიბრაზეს ვგრძნობდი, რომელიც პირველ ცოლზე გადამქონდა. მედიტაციის დაწყებიდან ორ კვირაში კი თავად მკითხა, რა ხდებოდა, სად წავიდა ჩემი სიბრაზე. ყველაფერი თავისით მოხდა. ცოლსაც კარგად ვეპყრობოდი და მეც უფრო ბედნიერი ვიყავი. საქმის კეთებისას კი ენერგია და ენთუზიაზმი გამიძლიერდა", - იხსენებს ლინჩი, რომელმაც 2005 საკუთარი ფონდი შექმნა, რომელიც 600 000-ზე მეტ ბავშვსა თუ მოზარდს სტრესის დაძლევაში ეხმარება. დევიდ ლინჩის ფონდი წელს უკვე კავკასიაშიც დაარსდა და მისი მთავარი მიზანია, დაეხმაროს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მცხოვრებთ სტრესის დაძლევაში. დევიდ ლინჩთან ჩვენი ინტერვიუც ტრანსცენდენტალური მედიტაციით იწყება.

- როდის აღმოაჩინეთ ტრანსცენდენტალური მედიტაცია?

- მაშინ ფილადელფიიდან ლოს-ანჯელესში გადავედი საცხოვრებლად, ბევერლი-ჰილზზე დიდ სახლში ვცხოვრობდი. ფილადელფია ჩემთვის შთაგონების უდიდესი წყარო იყო. ის ბნელი, გიჟური, ჭუჭყიანი, კრიმინალური და გარყვნილი ქალაქია, მაგრამ იქაური ხასიათი, ქარხნები და ატმოსფერო სამუშაოდ ფანტასტიკურ განწყობას მიქმნიდა. ლოს-ანჯელესში ღამით ჩავედი. მახსოვს, პირველი, რაც შევამჩნიე, იყო სინათლე. ლოს-ანჯელესი - გაშლილი ქალაქია და ამ სინათლესთან ერთად ის თავისუფლების განცდას ბადებს. პირველ ფილმზე დავიწყე მუშაობა, მომცეს სამუშაო სივრცე, აღჭურვილობა, მომიწყვეს სტუდია. ყველაფერი მქონდა, რაც მჭირდებოდა. თუმცა, აღმოვაჩინე, რომ ჩემს თავში სიცარიელე იყო. მქონდა ყველაფერი, რაც მინდოდა, მაგრამ არ ვიყავი ბედნიერი, სწორედ ამ დროს დავიწყე მედიტაციის ძიება. ბედნიერება შენშია და ეს უნდა იპოვო, მაინტერესებდა, სადაა ეს "შენში" და ასე აღმოვაჩინე ტრანსცენდენტალური მედიტაცია, რომელიც მუშაობასა და ცხოვრების გაუმჯობესებაში დამეხმარა. ტრანსცენდენტალური მედიტაცია არც კულტია და არც რელიგია.

- შედეგი მაშინვე იგრძენით, თუ დრო დაგჭირდათ?

- მაშინვე დამეხმარა და მომეწონა. ტრანსცენდენტალური მედიტაცია მასწავლებელმა უნდა შეგასწავლოს. ამას ოთხი დღის განმავლობაში დღეში საათნახევარი სჭირდება. მასწავლებელი მოგცემს მანტრას, რომელიც ხმა ან ვიბრაციაა. უნდა ისწავლო მისი გამოყენება. ოთხი დღის შემდეგ გეცოდინებათ, როგორ გააკეთოთ მედიტაცია, პასუხი გაეცემა თქვენს კითხვებს და მერე მთელი ცხოვრება გეცოდინებათ ეს ტექნიკა. დილით და შუადღეს ოც-ოცი წუთით მედიტირებთ, შემდეგ კი საქმეს აკეთებთ და აკვირდებით, როგორ იცვლება ყველაფერი უკეთესობისკენ, ნეგატივი ტოვებს თქვენს სხეულს და ადგილს ბედნიერებასა და ჰარმონიას უთმობს.

- დეპრესიისა და მღელვარების დროს ეხმარება ადამიანს?

- თუ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ ხართ, წამლებს იღებთ და ამ დროს იწყებთ მედიტირებას, უნდა იმუშაოთ ექიმთან შეთანხმებით, უნდა გააგრძელოთ მედიკამენტების მიღება. ორი კვირის შემდეგ ექიმმა შეიძლება უკეთესობა შეგატყოთ. ყველაფერი ჰარმონიაში მოდის და ეს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე აისახება. ამ ყველაფერზე დაკვირვება ლამაზი პროცესია.

- ჰოლივუდსა და ზოგადად შოუბიზნესში უამრავი სტრესის გამომწვევი მიზეზი არსებობს...

- სტრესი ყველგანაა. ბავშვებიც კი სკოლაში ხშირად ჩხუბობენ, მოსწავლეებს კონცენტრაცია უჭირთ, მათ უამრავ წამალს აძლევენ, რომელიც მხოლოდ ნიღბავს პრობლემებს. სწავლება არც მასწავლებლებს სიამოვნებთ. კეთილისმსურველები უამრავი იდეით გამოდიან, მოგვიწოდებენ, შევღებოთ კედლები ან ახალი წიგნები გამოვუშვათ. ტრანსცენდენტალური მედიტაცია კი მათ რეალურად ეხმარება. უკეთ სწავლობენ, სტრესი ქრება, სწავლის პროცესი უფრო ბედნიერი ხდება. ერთ წელში გარემო მთლიანად იცვლება. დაუჯერებელი ეფექტი აქვს და ამის ყურება სასიამოვნოა. სკოლა ხდება ადგილი, სადაც სიამოვნებით გაუშვებთ თქვენს შვილს.

– რთულია საკუთარი მანტრის პოვნა?

- ყველას თავისი მანტრა აქვს და მისი ხმამაღლა წარმოთქმა არ შეიძლება. მანტრა ცხოვრების მხარდამჭერია, მეგობარი ხმა, რომლის გამოყენებაც უნდა ისწავლო და რომელიც საშუალებას გაძლევს, საკუთარ თავს ჩაუღრმავდე.

– ხატვა ბავშვობიდან დაიწყეთ და ხშირად ხატავდით სამხედრო თვითმფრინავებს...

- მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, მაგრამ ომის განწყობა მაინც ჰაერში იგრძნობოდა. მიყვარდა დანების, პისტოლეტების, თვითმფრინავების ხატვა, ყველაზე მეტად კი ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ხატვა მიტაცებდა.

– მშობლები გასაფერადებელ ფურცლებს არ გაძლევდნენ, რატომ?

- დედაჩემმა რაღაც მიზეზით უარი თქვა, რომ გასაფერადებელი რვეული მქონოდა. ჩემს და-ძმას ჰქონდა. მახსოვს, მამას სამსახურიდან ფურცლები მოჰქონდა, ცალ მხარეს დოკუმენტები იყო, მეორე მხარეს კი ცარიელი და მეც ვხატავდი. ახლა მადლობას ვუხდი დედაჩემს მოცემული თავისუფლების გამო.

– ხანდახან ხატვისას ხორცსაც კი იყენებთ...

- დიახ, ხორცი გამოვიყენე. ბუნება უამრავ მნიშვნელოვან რამეს გვაძლევს, იდეას, ტექსტურას... და ეს მომწონს. ხორცი ნახატს მივაწებე, ცოტა ხანში საშინელი სუნი აუშვა, დავიწყე მარილიანი წყლის დასხმა და მალე შესანიშნავი ტექსტურა მივიღე.

– როცა ფილმს არ იღებდით, ხატავდით?

- დიახ, მაგრამ მე ორივე საქმის ერთად კეთება მიყვარს.

– როდის გაჩნდა მოძრავი ფოტოები?

- მე და ჩემს მეგობარს გვქონდა სივრცე, სადაც ვხატავდით. ამ დროს ფილადელფიაში ვცხოვრობდი. ერთხელ ღამით მარტო ვხატავდი, დავხატე ბაღი. ნახატის უმეტესი ნაწილი იყო შავი და მწვანე. მოსაწევად გავედი და ამ ნახატს შორიდან დავუწყე ყურება, უცბად ნახატიდან მომავალი ქარის ხმა გავიგონე და სიმწვანემაც მოძრაობა დაიწყო. ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ არ ვიყავი, სრულიად ფხიზელი ვიყავი. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე მოძრავი ნახატი.

– გაგჩენიათ სურვილი, თქვენს ფილმებში შექმნილ სამყაროში აღმოჩნდეთ?

- Eraserhead - არის ფილმი, რომლის სამყაროშიც ვიქნებოდი, თუმცა, არ ვიცი, მინდა თუ არა სამუდამოდ იქ დარჩენა.

– სანამ კინოინდუსტრიაში წარმატებული გახდებოდით, გქონდათ თუ არა ალტერნატივა
– გემუშავათ შემოსავლისთვის თუ თავი მხატვრობისთვის მიგეძღვნათ?

- ჩემი მშობლები საშუალო კლასის წარმომადგენლები იყვნენ, ფინანსურად მეხმარებოდნენ, მაგრამ მეც ვმუშაობდი. მეცოდება ხელოვანები, რომელთაც კვირაში ხუთი დღე უწევთ მუშაობა მასალების შესაძენად. სახატავად მხოლოდ უქმეები რჩებათ, ხელოვანმა კი კვირაში ხუთი დღე უნდა ხატოს და ფულისთვის მხოლოდ ორი დღე იმუშაოს.

- როდესაც სცენარს წარადგენდით, ფინანსების მოპოვება გიჭირდათ?

- რთული იყო, მაგრამ ბედი დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. არ ვიცი, რატომ მაფინანსებდნენ, კინოში მწვანე შუქი ამინთეს, მითხრეს, მემუშავა. უამრავი ნიჭიერი ადამიანია, რომელთაც, სამწუხაროდ, უარს ეუბნებიან. მე ძალიან იღბლიანად ვთვლი თავს.

- რას ნიშნავს თქვენთვის Twin Peaks ?

- Twin Peaks არის განსხვავებული სამყარო. მიყვარს Twin Peaks -ის პერსონაჟები, ადგილი, იდეა და საერთოდ ყველაფერი.

- როდესაც მეორე სეზონი დასრულდა და ერთ-ერთმა პერსონაჟმა თქვა, 25 წლის შემდეგ შევხვდებითო, იცოდით, რომ გააგრძელებდით Twin Peaks-ის გადაღებებს?

- არ ვიცოდი. ეს ისევ ბედის დამსახურებაა. მე მომივიდა წითელი ოთახის იდეა, სადაც კუპერი იყო გაქედილი. მეორე სეზონის ბოლო ეპიზოდში ლორა ეუბნება კუპერს: "გნახავ 25 წლის შემდეგ", მაშინ არ ვიცოდით, რომ ეს მოხდებოდა. ეს სცენა უფრო სიზმარს ჰგავდა და არა რეალობას. მაგრამ თითქმის 25 წლის შემდეგ კვლავ დავბრუნდით Twin Peaks-ის გადასაღებად.

- ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც Twin Peaks პირველად გავიდა ეთერში და მისი ყურებისას ყოველთვის გრძნობ თანამედროვე ტელევიზიაზე მის უდიდეს გავლენას. თავად თუ შეგიმჩნევიათ Twin Peaks-ის ეფექტი?

- არა, ხშირად მეუბნებიან ამას, მაგრამ არ შემიმჩნევია. ვფიქრობ, ეს ყველაფერი არსებობს. მაგალითად, მარკონი და ტესლა სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდნენ, მაგრამ ორივემ შექმნა რადიო. მართალია, ეს გამოგონება ტესლას მიეწერა, რადგანაც მან უფრო ადრე მიაგნო, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ამ აღმოჩენას მარკონის მიაწერდნენ. იდეები "ჰაერშია" და ადამიანები იჭერენ ამ იდეებს, ასე მიდის ევოლუცია. ახალი იდეები ცურავს და მათ იჭერენ იმისთვის, რომ რაღაცები წინ წავიდეს.

- საიდან მოგდით ეს იდეები?

- ცხოვრებიდან და ძალიან ცოტა სიზმრებიდან. მე მიყვარს "სიზმრის ლოგიკა", იდეა შეიძლება ნებისმიერ დროს მოგივიდეს. მიყვარს დღის ზმანებები და ხანდახან მინდა, იდეა მომივიდეს. შემდეგ ეს სურვილი თევზაობას ჰგავს, გადააგდებ ანკესს და იჭერ რაღაც იდეებს, ამას კი ძლიერი სურვილი განაპირობებს.

- მნიშვნელოვანია, რომ გადასაღებ მოედანზე ყველაფერი ისე იყოს, როგორც ეს სცენარის წერისას წარმოგედგინათ, თუ მიდიხართ რაღაც დათმობებზე?

- ეს უაღრესად მნიშვნელოვანია და ზოგჯერ ფილმი ზუსტად ისეთია, როგორიც გონებაში დაბადებული იდეა იყო. მაგრამ თუ კონკრეტულ გადასაღებ მოედანს ვეძებ და მას ვერ ვპოულობ, ვიწყებ მაქსიმალურად მიახლოებული ადგილის ძიებას. გარემოს შესაქმნელად შეიძლება განსხვავებული ავეჯის ან ნივთების შეტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში იდეა იგივეა, მაგრამ სურათი არ გამოდის ისეთი, როგორიც ჩაფიქრებული გქონდა.

– ამბობთ, რომ სერიალებში Breaking Bad მოგწონთ...

- Breaking Bad პერსონაჟების გამო მომწონს. არაჩვეულებრივი და ძლიერი პერსონაჟებია შექმნილი.

– როგორც ვიცით, საქართველოში კინოსკოლის შექმნასაც აპირებთ...

- საქართველოში გიგა აგლაძესთან ერთად ვმუშაობ. გიგა იქნება სკოლის ამბებში ჩართული. ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შეეძლებათ აქ ჩამოსვლა. საქართველო კარგი ადგილია კინოფესტივალის დასაარსებლადაც. ქართულ კინოსა და მის ტრადიციებზე ფედერიკო ფელინიც კი საუბრობდა. ასე რომ, საქართველო კინოხელოვნებისთვის ნამდვილად კარგი ბაზაა.

ავტორი: რუსკა გიორგაძე

ტეგები:
კინო (/index.php/component/tags/tag/266-kino) დევიდ ლინჩი (/index.php/component/tags/tag/1192-devid-linchi)
Twin Peaks (/index.php/component/tags/tag/1193-twin-peaks)
Mulholland Drive (/index.php/component/tags/tag/1194-mulholland-drive)
რეჟისორი (/index.php/component/tags/tag/1195-rezhisori)

Like Share Recommend

0

DAVID LYNCH: "THE WORLD THAT I CHOOSE"

His each film is a unique and independent world where the strangest beings revive and mystical-detective stories sweep the viewers off their feet…

It's so hard not to get lost in the grotesque world created in the head of a genius and then turned into a film and once having travelled there not to want to return back. While being in the "Lynchian Dimension" one emotion changes the other one, we follow the flow of the director's thoughts and dive into the world which sometimes is called Mulholland Drive, sometimes Blue Velvet or Twin Peaks. Welcome to the world of the greatest surrealist of the film history – David Lynch!

He revives the craziest ideas with a cinema language and while watching his films we find ourselves in Lynch's consciousness flow – "Day dreams are the most important, sometimes I sit into the car, close my eyes and let my mind wander. You can't control dreams while sleeping. I like to dive into the world of dreams created or discovered by me, this is the world that I choose and this is a power of cinema, most of all this is the right time when ideas are born", - says 71 years old Lynch. That's how a light room appeared in the iconic TV series of 90s Twin Peaks, as well as the giant in the agent Cooper's room. Lynch's "dreaming logic" creates new, nonlinear structure of narration.

You can find the similar form of narration in his iconic films Eraserhead, Mulholland Drive and Inland Empire. Lynch tells us stories of violence, love, revenge and criminal affairs in the language of magic realism – the idea comes for a moment and if you stop and think, you'll discover that it has a voice, an image and a mood. It can even prompt you a wardrobe of a character, and it can show you what is this character like, what he is talking about what words he uses. Thousands of things appear in your mind for a moment." – says the film director.

It's difficult to name the mood and the atmosphere which appears in Lynch's films. Due to this specific humor, grotesque characters and their no prognostic behaviors the plot of the film is out of logical path but it does not interfere anyone to fully take pleasure out of the film character and the story told in the language of a magic realism.
David Lynch paints since his childhood. He recalls how his father brought a pile of documents from work with the empty other side and he was painting airplanes and machine guns on them. He calls the years spent in Philadelphia his biggest inspiration to learn painting. The desire to enliven his own paintings incited him to shoot his first short film. That's how Alphabet was created – one of the earliest works in Lynch's filmography. The lead role was played by his former wife Peggy. He painted the walls of his own house into a black color for the shooting and he did the same when working for his second film – The Grandmother.

He moved to Los Angeles, Beverley Hills from Philadelphia and continued his study at film school. After one year he started to work on his first feature-length film "Eraserhead". "Eraserhead" is a cult film where the plot develops in the dystrophic world. A calm young man becomes a parent of a strange kid. David Lynch's first feature-length work is being acknowledged as surrealism classic and Lynch's the most favorite director Stanley Kubrick declares it the most favorite film of all times.

The Elephant Man was the film which brought the biggest fame to Lynch. This is a story of Joseph Merrick who is deceased with body deformation syndrome. It was followed by a fantasy film Dune Da Blue Velvet in 1990 and David Lynch together with Mark Frost managed to imprison the whole world to TV screens. Decades ago an executive producer of ABC TV company was fascinated by David Lynch's and Mark Frost's script, that's how an absolutely new world Twin Peaks was created, which was simultaneously a classical soap opera, mystical murder story, a small city saga and a love story.

"Who killed Laura Palmer", - you could here this question everywhere. Agent Cooper's story in. a small city passed the borders of America and covered the whole world. The red room mystery, criminal gangs and secret unions reunited into two seasons and became iconic TV Series. Many consider Twin Peaks as a beginning of the Golden Age of Television. Even after many years viewers are still seduced and attracted by the plot line, depth of the characters, editing and mood that were created in Lynch TV Series together with Mark Frost. At the end of the second season one of the characters says: "We'll meet after 25 years", and although the continuation of the series was not planned approximately after 25 years Twin Peaks returned to the TV world. David Lynch calls the third season of the series an 18 hour movie which you have to watch part by part and which was acknowledged as a phenomenon of 2017 TV season.

While watching Twin Peaks you always think about its influence and that David Lynch has shot these TV series long ago that we can consider the first source of the contemporary television. Lynch's world surprises and attracts you from series to series and when you meet the creator of this world in Tbilisi central streets you really feel like a part of a surrealistic film.

David liked coffee like Twin Peaks' character Gordon but not "as dark and strong like moonless night", but he prefers Latte. His gestures are the same as Gordon's. His blue eyes glitter when he talks about his favorite themes and it's impossible to stay unsusceptible to this enthusiasm, you can't take your sight away from the movement of his fingers and you want to talk to David Lynch endlessly about cinema, music, painting and benefits of Transcendental Meditation.

Transcendental meditation is an ancient form of Meditation that Lynch discovered in 70-s. "I thought that Meditation would be a way to real happiness. I tried different forms of meditation but none of them was good for me. Once my sister called me and told me about Transcendental meditation. Her voice was changed and she seemed happier. So I decided to learn this technique. I was creative at this time but I lacked self-confidence, I felt constant anger that I projected on my first wife. After two weeks of meditating she asked me what was going on? Where did my anger disappear? Everything happened itself. I started to treat my wife better and I was happier. My energy and enthusiasm became stronger while doing my job", - recalls Lynch who created his own Foundation in 2005 which helps more than 600 000 children and adults in overcoming stress. This year David Lynch's foundation was created in Caucasus too and its main purpose is to help the population of Georgia, Azerbaijan and Caucasus to overcome stress. Our interview with David Lynch starts with Transcendental Meditation.

WHEN DID YOU FIRST DISCOVER TRANSCENDENTAL MEDITATION?

- At that time I moved from Philadelphia to Los Angeles, I lived in a big house on Beverley Hills. Philadelphia was a great source of inspiration for me. This is a dark, crazy, dirty, criminal and depraved city but its mood, mills and atmosphere created fantastic working mood. It was night when I arrived in Los Angeles. I remember, the first thing that I noticed was light. Los Angeles is a broad city and together with this light it creates the impression of freedom. I started to work on the first film.

I was given working space, equipment, arranged studio. I had everything that I needed but I discovered that there was emptiness in my head. I had everything that I wanted but I was not happy, right at that time I started to search for meditation. Happiness is inside of you and you should find it. I wondered where is this "inside" and thus I discovered Transcendental Meditation which helped me in improving my work and life. Transcendental Meditation is neither cult nor a religion.

DID YOU GET THE RESULT AT ONCE OR IT TOOK YOU SOME TIME?

- I helped me at once and I liked it. There is a teacher who will teach you Transcendental Meditation. It takes you four consecutive days ninety minutes a day. A teacher gives you a mantra which is a sound or a vibration. You need to learn how to use it. After for days you will be able to meditate, your questions will be answered and you will know this technique for all of your life. You meditate for 20 minutes in the morning and afternoon. Then you do your activities and observe how everything changes into better, negativity leaves your body and gives space to happiness and harmony.

DOES IT HELP DURING DEPRESSION AND ANXIETY?

- If you undergo a medical treatment, take meds and start to meditate at that time, you need to work in agreement with the doctor, you should continue to take meds. After two weeks, a doctor may notice improvement in you. Everything harmonizes and it reflects on different aspects of life. Observation if it all is a very beautiful process.

THERE ARE VERY MANY CAUSES OF STRESS IN HOLLYWOOD AND GENERALLY IN SHOW BUSINESS…

- Stress is everywhere. Even students often fight at schools, they have difficulties with concentration. They are given tremendously many pills, which only veils the problem. Nor teachers like to teach. Well-wishers offer us different ideas to paint walls, or publish new books. Transcendental Meditation really helps them. They learn better, stress disappears, the learning process is happier. The environment fully changes in one year. It has unbelievable effect and watching it is very pleasant. School becomes a place where you can let your child go with pleasure.

IS IT DIFFICULT TO FIND YOUR OWN MANTRA?

- Everyone has their own mantra and you should not pronounce it loudly. Mantra is a life supporter your friendly sound, that you should learn to use it and which allows you to go deeper into yourself.

YOU STARTED TO PAINT IN YOUR CHILDHOOD AND YOU OFTEN PAINTED MILITARY AIRPLANES…

- The Second World War was just finished but you could feel the atmosphere of war in the air. I liked to draw knives, pistols, airplanes, but I liked to draw machine guns and assault rifles most of all.

YOUR PARENTS DIDN'T GIVE YOU PAPER FOR PAINTING, WHY?

- My mother said some reason for me not to have a coloring note book. My brother and a sister had some. I remember, my father brought some piles of paper from work with documents on one side and empty on the other. And I used it for painting. Now I thank my mom for giving me this freedom.

SOMETIMES YOU USE MEET FOR PAINTING…

- Yes, I used meet. Nature gives us many important things, ideas, textures and I like it. I stuck meet to the painting. Soon it started to smell terribly. I spilled salty water on it and soon it gave me wonderful texture.

DID YOU PAINT WHEN NOT SHOOTING A FILM?

- Yes, but I like two things at the same time.

WHEN DID MOVABLE PAINTINGS APPEAR?

- Me and my friend had a space where we were painting. I lived in Philadelphia at that time. Once I stayed alone at night and I painted a garden. The most part of the painting was green and black. I went out to smoke and started to stare at it from the distance. Suddenly I heard the sound of the blowing wind from the painting and the greenery started to move. I was not drugged. I was absolutely sober. So I discovered movable paintings.

WOULD YOU LIKE TO APPEAR IN THE WORLD THAT YOU CREATE IN YOUR FILMS?

- Eraserhead is the film where I'd like to get in but I don't know if I want to stay there forever.

BEFORE BECOMING POPULAR IN FILM INDUSTRY DID YOU HAVE ANY ALTERNATIVE TO WORK FOR INCOME OR DEVOTE YOURSELF TO THE PAINTING?

- My parents were from middle class, they supported me financially but I also had income. I have compassion to those artists who have to work five days a week to buy materials and they have only weekends for painting when an artist should paint five days and work for money only two days.

WHEN YOU REPRESENTED SCRIPT, WAS IT DIFFICULT FOR YOU TO GET FINANCES?

- It was difficult but fate plays great role in one's life. I don't know why I got financial support. I always had green light in cinema, I've been told to work. There are so many talented people who have been rejected. I feel myself very lucky.

WHAT DOES TWIN PEAKS MEAN FOR YOU?

- Twin Peaks is a different world. I like characters, place, idea and everything in Twin Peaks.

WHEN THE SECOND SEASON WAS FINISHED AND ONE OF THE CHARACTERS SAID THAT WE'D MEET IN 25 YOURS DID YOU KNOW THAT YOU WOULD CONTINUE TWIN PEAKS?

- I didn't know. This is also Nature support. I had an idea of the red room where Cooper was stuck. At the end of the second season Laura says to Cooper: "I'll see you in 25 years.", I didn't know then that it would happen. This scene looked more like a dream and not a reality. But almost after 25 years we returned to the shooting.

LONG TIME HAS PASSED SINCE TWIN PEAKS WAS FIRST BROADCASTED AND WHILE WATCHING IT I ALWAYS FEEL ITS INFLUENCE ON THE CONTEMPORARY TELEVISION. HAVE YOU EVER FELT TWIN PEAKS AFFECT YOURSELF?

- No, I am often told about it but I haven't felt it. I think all this exists. For example Marconi and Tesla lived in different places but both of them invented radio. Although this invention was assigned to Tesla as he was the first to discover it, but for a long period this invention was considered to belong to Marconi. Ideas are in the "air" and people catch these ideas, this is how evolution goes. New ideas float and they are caught for the progress purposes.

HOW DO YOU GET THESE IDEAS?

- From life and very few from dreams. I like "the logic of dreams". Idea might come to you every moment. I like day dreaming and I want an idea to come. Then this desire looks like fishing. You throw a fishing hook and catch some idea. This is caused by a big desire.

IS IT IMPORTANT TO HAVE EVERYTHING ON THE SET THE WAY YOU DESCRIBED IT IN THE SCRIPT OR YOU MAKE SOME COMPROMISES?

- This is exceptionally important and sometimes the film is exactly the same as the idea was born. But if I look for some specific set and can't find it I try to find a place that looks alike as much as possible. You can create atmosphere by adding some specific furniture or other things, the idea is the same in this case but the whole picture is not the same as it was first created.

YOU SAY THAT YOU LIKE TV SERIES BREAKING BAD…

- I like Breaking Bad because of the characters. These characters are so fabulous and very strong.

AS YOU'VE MENTIONED YOU ARE GOING TO CREATE A FILM SCHOOL IN GEORGIA…

- I work with Giga Agladze in Georgia. Giga will be involved in school business. People from the whole world will be able to arrive here. Georgia is good place for founding a film festival too. Even Federico Fellini spoke about Georgian movie and its traditions so Georgia is really a good base for cinema art.

Author: Ruska Gioradze